ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საჯარო პოლიტიკა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (შშმპ) ბრიტანეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი)

21.06.2014

- შეზღუდული შესაძლებლობები არის ადამიანის გარემო და დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენენ გონებრივ, ფიზიკურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ემოციურ, ადაპტაციურ განვითარებაზე
- . მსოფლიოს მოსახლეობის 15% ანუ 1 მილიარდი ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა.

დიდი ბრიტანეთი

- სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დიდ ბრიტანეთში 5.3 მილიონი შშმ მამაკაცია, ხოლო ქალების რიცხვი 5.9 მილიონს აღწევს

- 2011 წლის მონაცემებით, ბრიტანელების 1/5მა განაცხადა, რომ პრობლემები ექმნებოდათ ტრანსპორტის მათი მდგომარეობის გამო გამოუყენებლობის კუთხით.

- 2012 წლის ბოლოს, ავტობუსების 88% იყო მოწყობილი შშმ პირებისათვის ან ჰქონდათ დაბალი იატაკი, რომ ადვილად შესულიყვნენ საჯარო ტრანსპორტში. ბოლო წლებში ეს მონაცემები მუდმივად იზრდება

- 2012 წლის მონაცემებით, შშმ პირების 60% არ აქვს მანქანა, ხოლო მთლიანი მოსახლეობის – 27%.

2013 წლის სტატისტიკური მონაცემები



შშმ და შშ არმქონე მოზარდებისთვის დასაქმების დროს არსებული ბარიერები *(მოზარდები, რომლებიც 16 წლისა და ზემოთ ასაკის არიან და რომლებიც ეკონომიკურად არააქტიურები იყვნენ)*

- თავდაჯერებულობის ნაკლებობა – 4 % (შშ არმქონე)
- თავდაჯერებულობის ნაკლებობა – 19% (შშმპ)

შშმ და შშ არმქონე მოზარდებისთვის გადაადგილების დროს არსებული ბარიერები *(თავდაჯერებულობის ნაკლებობა, მოზარდები, რომლებიც 16 წლისა და ზემოთ ასაკის არიან)*

- ტრანსპორტით გადაადგილების დროს არსებული დისკომფორტი – 3% (შშ არმქონე)
- ტრანსპორტით გადაადგილების დროს არსებული დისკომფორტი – 11% (შშმპ)

- გრძელ მანძილზე მიმავალი მატარებლები – 2% (შშ არმქონე)
- გრძელ მანძილზე მიმავალი მატარებლები – 12% (შშმპ)
- გრძელ მანძილზე მიმავალი ავტობუსები– 3% (შშ არმქონე)
- გრძელ მანძილზე მიმავალი ავტობუსები– 13% (შშმპ)

დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული აქტი (DDA), (1995წ.)

- შშმპ–ს უნდა მოპყრობოდნენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანებს და თანასწორი უფლებები უნდა ჰქონოდათ.
- მიზანი არის გააძლიეროს დიდ ბრიტანეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებობა. ის კანონიერ ჩარჩოს ქმნის, რომელიც იცავს ადამიანებს დისკრიმინაციისაგან, შედის შშმ პირებიც.
- აქტი ჩასწორდა და გაუმჯობესდა 2005 წელს მიღებული იმავე დასახელების მქონე კანონმდებლობის მეშვეობით, რომელმაც პაუხისმგებლობა დააკისრა საჯარო ავტორიტეტებს, რომ დაეცვათ შშმპ–ის თანაბარი უფლებები ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით.

ადამიანის უფლებათა აქტი (2000წ.)

- კანონში ნათლად არის გაწერილი, რომ სხვადასხვა სერვისი შეუზღუდავად უნდა მიეწოდოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

- საჯარო სერვისების მიმწოდებლებმა, როგორებიც არიან საავადმყოფოების პერსონალი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები და სხვა, არ უნდა დაარღვიონ ასეთი ადამიანების უფლებები.

- ადამიანის ყველა უფლება, რომელიც დაცულია *ევროპული კონვენციის* მიერ რელევანტურია შშმ პირებისათვის. აღსანიშნავია ოთხი მთავარი უფლება:

- *უფლება, რომ არ გაწამონ ან მოგეპყრან არაადამიანური ან დამამცირებელი კუთხით;*
- *უფლება, რომ პატივი სცენ შენს პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობას, საშინაო სფეროსა და პირადი მიმოწერის თავისუფლებას;*
- *სიცოცხლის უფლება და*
- *უფლება, რომ არ იყო დისკრიმინირებული ევროპული კონვენციის რომელიმე უფლების მიხედვით.*

თანასწორობის აქტი (2010 წ.)

- პირადი და ირიბი დისკრიმინაცია უკანონოდ გამოცხადდა.
- თანასწორად უნდა მოეპყროს სახელმწიფო შშმ პირებს დასაქმების კუთხით, აგრეთვე კერძო და საჯარო სექტორების ხელმისაწვდომობის მხრივ, მიუხედავად ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, სოციალური სტატუსის, ქორწინებაში და სამოქალაქო ურთიერთობაში ყოფნის, რელიგიის ან რწმენის, რასის, ეთნიკურობის, გენდერისა და სექსუალური ორიენტაციისა.

„თანასწორობა 2025“

- არაუწყებრივი საჯარო ორგანო და გულისხმობს საჯარო სტრუქტურებში დანიშნული შშმ ადამიანების დახმარებას.

- ეს მექანიზმი შეიქმნა 2013 წლის ოქტომბერში, ამ კუთხით მომუშავე ხალხი მთავრობას სთავაზობს სტრატეგიულ, კონფიდენციალურ რჩევას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შშმ პირებს ეხება.

- რჩევები ხშირ შემთხვევაში შეიძლება მოიცავდეს საჯარო პოლიტიკის განვითარების საწყის ეტაპებზე მონაწილეობას ან არსებული პოლიტიკის ღრმა კვლევას.

- ეს ჯგუფი მუშაობს მინისტრებთან და საჯარო სფეროს მთავარ ოფიციალურ პირებთან ერთად.

სახელმწიფო დახმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

- დახმარებას სახელმწიფო აძლევდა საპენსიო ასაკის ქვემოთ მყოფ ადამინებს, რომლებსაც არ შეეძლოთ ავადმყოფობის ან შეზღუდული შესაძლებლობების გამო ემუშავათ.
- დახმარება თანდათანობით განახევრდა მას შემდეგ, რაც 2007 წელს ბრიტანეთში მიიღეს სოციალური კეთილდღეობის აქტი, დახმარება საბოლოოდ გაუქმდა 2014 წლის დასაწყისში

შშმ პირებისათვის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებელი შეღავათები

- 1992 წლიდან დაიწყო და გაცხადდა, რომ 2013–2016 წლებში დასრულდება
- ეს პროგრამა ეხება ყველა ბრიტანეთში მცხოვრებ ადამიანს, რომელიც 65 წელს ქვემოთაა და აქვს პერსონალური მზრუნველობისა და გადაადგილების საჭიროება, რაც გამოწვეულია მენტალური (გონებრივი) და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობებით.
- ისინი არ უნდა ცხოვრობდნენ მუდმივი ბინადრობის გარკვეული ტიპის საცხოვრებელში, უნდა ჰქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობები სულ მცირე სამი თვე მაინც და მინიმუმ ექვს თვეზე მეტ ხანს კიდევ უნდა გრძელდებოდეს.
- ინდივიდებმა შესაძლოა ისარგებლონ ამ ტიპის დახმარებით, არ აქვს მნიშვნელობა მუშაობენ თუ არა ისინი.

მხოლოდ ფაქტები!!!

- ბრიტანეთი ხარჯავს GDPის 2.4 %ს შშმ პირების დახმარებაზე, ვიდრე საფრანგეთი, გერმანია, იტალია ან ესპანეთი.
- შშმ პირების დახმარება ბრიტანეთს გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანას.
- აღსანიშნავია, ასევე რომ GDPის 1%ს აშშ ხარჯავს შშმ პირების დახმარებაზე, რაც დიდი ბრიტანეთის მიერ დახარჯულ თანხებზე 2-ჯერ ნაკლებია, ხოლო იაპონია GDPის 0.4%ს ხარჯავს შშმ პირების დახმარებაზე, რაც 6-ჯერ ნაკლებია ბრიტანეთის იმავე მონაცემებთან შედარებით.
- ***ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის* (OECD)** 34 წევრიდან, მხოლოდ ისლანდია და ნორვეგია ხარჯავს შშმ პირების დახმარებაზე 2.8%ზე მეტს.

საქართველო

- შშმ პირები კი ინვალიდებად მიიჩნევიან და მათდამი დამოკიდებულებაც ამ ტერმინის შესაფერისია. ამას თან ერთვის სახელმწიფო სახსრებისა და რესურსების არარსებობა.

- 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ დაიწყო საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და არაერთ კონვენციას თუ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლებიც ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას ისახავს მიზნად.

- საქართველო 2009 წელს შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციას (UNCRPD)

- ამ კონვენციის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 2013 წლის დეკემბერში განახორციელა

- ამ ოთხწლიანი „შეყოვნების" მიზეზად კი პარლამენტარები წინა ხელისუფლების უყურადღებობას ასახელებდნენ.

გარემოსთან ადაპტაცია

- რამდენიმე წლის წინ, დაიწო შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტაციის პროცესი, ადმინისტრაციულ შენობებთან, გადასასვლელ ხიდებზე და სხვ.
- მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ადაპტირებული ავტობუსები და მხოლოდ რამდენიმე ქალაქი თუ ფიქრობს ამ თემაზე.
- ერთ-ერთი მათგანი თბილისია, მაგრამ 2014 წლის ბიუჯეტის ჩავარდნამ 100 ადაპტირებული ავტობუსის შემოყვანაც გაურკვეველი ვადით გადადო, რასაც შშმ პირთა და ინტერესჯგუფთა აქციაც მოჰყვა.
- ბათუმი კი ერთადერთი ქალაქია საქართველოში სადაც ადაპტირებულ ავტობუსებს შეხვდებით. რუსთავში კი მხოლოდ სამარშუტო ხაზების ბოლო გაჩერებებზე მოხდა მოსაცდელების ადაპტაცია.

- ომბუცმენის ოფისის მიერ, 2013 წლის ბოლოს, პენიტენციალურ და ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო უწყებები არ ფლობენ სტატისტიკას შშმ პირთა შესახებ და არც მათი იდენტიფიცირების საშუალებები აქვთ.

- არ არსებობს შშმ პატიმართა და პაციენტთა სარეაბილიტაციო პროგრამა, რის გამოც მათი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება.

- არ არსებობს მათზე ზრუნვის სტანდარტები და ხშირია სანანონმდებლო ნორმების დარღვევით მათი ფიზიკური შეზღუდვის ფაქტები.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120–ე მუხლის 1–ელი პუნქტის ‘’ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ქორწინება არ დაიშვება იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავამდყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ, რაც წინააღმდეგობაში მოდის ქორწინების კონსტიტუციურ განსაზღვრებასთან.

2014 წელი და ადაპტაციისკენ გადადგმული ნაბიჯები

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დიდი ყურადღება ეთმობოდა შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობას და ის ფაქტი რომ შშმ დამკვირვებელმა ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე შესვლა ვერ შეძლო, მდარე სკანდალის საბაბიც გახდა.

- თბილისის საკრებულოში „ქართული ოცნების" პარტიული სიით შშმ პირი რატი იონათამიშვილის კანდიდატურაც კი იყო წარდგენილი.

- ამაწლის 20 იანვარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველჰყოფის 2014 - 2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა".

- ითვალიწინებს რეფორმებს ინკლუზიური, სპეციალური განათლების, გარემოს ადაპტაციის, საზოგადოებრივი ცნობიერების, შშმ პირთა რესოციალიზაციის, პოლიტიკურ მოვლენებში მანაწილეობის და მსგავს პრობლემის სფეროებში.

შედარებითი ანალიზი

განსხვავება თავად საზოგადოებაში თუ რა დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მოქალაქეებს შშმპ–ების მიმართ

- ***დიდ ბრიტანეთში*** ასეთი ადამიანებისადმი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივის მიმართ მოქალაქეების მხრიდან, იგივეს ვერ ვიტყვით ქართველ საზოგადოებაზე.

- ***საქართველოში*** ძირითადად ან სიბრალულით უყურებენ შშმპ–ებს, ან ცდილობენ თავი შორს დაიჭირონ მათგან, გაურბიან მათთან ურთიერთობას. საქართველოში მათ ინვალიდებს უწოდებენ

მნიშვნელოვანია თავად ისიც თუ როგორ არის განმარტებული შშმპ დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს კანონმდებლობებში

- ***საქართველოს*** კანონი **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“** განმარტავს, რომ შეზღუდვა არის დაავადების, ტრამვის, ანატომიური ან გონებრივი დეფექტის შედეგად გამოწვეული ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი დარღვევით, რაც განაპირობებს ქმედუნარიანობის დროებით ან სამუდამო შეზღუდვას.

- ***დიდ ბრიტანეთში*** კი შშპ გულისხმობს ადამიანს, რომელსაც გააჩნია ხანგრძლივი ეფექტის მქონე ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური ან მგრძნობელობითი ნაკლოვანებები და სხვა ამასთან განმარტებულია, რომ „შეძღუდული შესაძლებლობები“ განვითარებადი ტერმინია.

შშმ ადამიანების ინტეგრირების ხელშეწყობა საზოგადოებაში, მათი დასაქმება და მთავრობის მიერ მათზე პაუხიმგებლობის აღების ვალდებულება

- ***საქართველოში*** მეტად რთულად დგას ამ ადამიანების გადაადგილების ხელმისაწვდომობის საკითხი
- დედაქალაქში არ არის პირობები (გამონაკლისის გარდა) შექმნილი იმისათვის რომ შშმპ ადამიანები დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ.
- ***დიდ ბრიტანეთში*** არსებობს ორგანიზაცია – DISABLED PERSONS TRANSPORT ADVISORY COMMITTEE (DPTAC), რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კონსულტაცია გაუწიოს ან მოთხოვოს მთავრობას უნარშეზღუდული ადამიანებისთვის უზრუნველყოს და გაუმჯობესოს ტრანსპორტით მომსახურების საკითხი.
- ლონდონის ქუჩებში ხშირად შევხვდებით პანდუსებს, ასევე ავტობუსები ისეა მოწყობილი, რომ ადამიანებს არ გაუჭირდეთ იქ შესვლა, ამისთვის თავად არის აღჭურვილი ტრანსპორტის უმრავლესობა შესაბამისი ტექნოლოგიით, ასევე თავისუფლად შეუძლია გადაადგილება შშმპ ადამიანს მეტროში.
- ***საქართველოში*** კი ამ მხრივ სავალალო სიტუაციაა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბევრ ნაწილში დამონტაჟებულია „პანდუსები, პრაქტიკულად შეუძლებელია სარგებლობა. რაც შეეხება ტრანსპორტს, არანაირი პირობები არ არსებობს იმისთვის, რომ შშმპ ისარგებლონ სატრანსპორტო მარშრუტის მომსახურეობით.

დასაქმების პრობლემა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში

- ***დიდ ბრიტანეთშიც*** დიდი პრობლემაა შშმპ დასაქმების საკითხი, თუმცა ***საქართველოსთან*** შედარებით იქ უკეთესი სიტუაციაა.

- 2013 წლის მონაცემებით შშმპ მთლიანი რაოდენობის 49% დასაქმებულია, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ადამიანებში დასაქმების წილი 81%–ია.

- შრომისუნარიანი ადამიანების 50% მეტი, რომლებიც დაუსაქმებელნი არაინ, შშმპ–ს წარმოადგენენ. დაუსაქმებელთა 2/3–ის ოჯახებში შედიან ისეთი ადამიანები (ოჯახის ერთ წევრი მაინც), რომლებთაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გააჩნიათ.

- დასაქმების დონე 2006წ. შშპ– სა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის შემცირდა 37.2%–დან 32.8% 2013 წელს.

დასაქმების პრობლემა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში

- 2009 წლის 21 მაისს გაეროში ***საქართველოს*** ელჩმა ალექსანდრე ლომაიამ ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობდა შშმპ ადამიანებისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფასა და მის დაცვას, პირველ რიგში მასში იგულისხმება დასაქმებისა და სამსახურეობრივი წინსვლის უფლება

- 2007 წელს ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციათა საკოორდინატო, თუმცა მან მხოლოდ 1 წელი იარსება.

- საქართველოში 200 ათასამდე შშმპ ადამიანი ცხოვრობს და მათგან დაახლოებით მხოლოდ 1% არის დასაქმებული

Thank you